სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო
COUNSIL OF SIGHNAGHI MUNICIPALITY

განკარგულება:**g-55. 55242432**
თარიღი:**30/08/2024**

**საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით სიღნაღის მუნიციპალიტეტში საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტების შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით, სიღნაღის მუნიციპალიტეტში საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზების მიზნით განისაზღვროს შემდეგი ადგილები:

   ა) ქ. წნორის მუსიკალური სკოლის დარბაზი (მისამართი: ქ. წნორი, რუსთაველის ქ. #6);

   ბ) სოფელ ილიაწმინდის სამუსიკო სკოლის შენობა;

   გ) სოფელ ქვ. მაჩხაანის კულტურის სახლის შენობა;

   დ) სოფელ ვაქირის მუსიკალური სკოლის შენობა.

2. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედების ვადა შეწყდეს საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებისთანავე;

3. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი ც. დადიანის ქ. #15) განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

დავითი ჯანიკაშვილი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი